



ბელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უწყვეტად გარდა, დილის 9-მდე, საღამოს 5-მდე.

ხელმოწერილი წერილები არ დაბეჭდვებიან; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენტები სულ არ იხილება; იხილება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакция „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების წესი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლო-ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან.,

4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველო“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევიმდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ. მოვარგებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერით, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლი-სამდე.

მისამართი: გ. Тифлисъ, редакция „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნო-ბონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუყა.

იმ სახინელ ციხის ბაგო, რომელმაც იხსნა ჩაბნელები თაბარი და თაბად-აუნაურის სხვა ზნეობანი, დროებით დაკაბილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინააღმდეგ ზნეობანი, სასახლის ძ., თ.-აუნ. ძარკვალაში, იგი გამწვანებულ და გალამაზებულ სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხო-ვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გაქვს ევროპული და ჩვენიური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქ-ზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მუდრო ბაღი, სანარდ და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილვულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. თვიურ მოხალისეთ დიდი შედგავით.

პატივისცემით დ. გიგინია.

დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე

უმაღლეს რესკრიპტით კავკასიაში მეფის მთავარად დანიშნა უმაღ-ლესი მთავარსარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. დიდის მთავრის მი-ხედვით ნიკოლოზის ძის შემდეგ, დი-დი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მეორე უაღვსტოვანი მმართველია კავკასიისა, და ძალაუფლებად გვა-გონებს იმ დღეებს, წარსულისას, როდესაც მის უაღვსტოვან წინა მო-ადგილის დროს, პირველად ჩაყარა საძირკველი რეფორმებს კავკასიაში.

დანიშნა მეფის მთავარად დიდი თანამდებობაზე იმ პირისა, რომე-ლიც ერთის წლის განმავლობაში წინ უძღოდა რუსეთის ძლიერების დროშებს, იმ დროს, როდესაც მთე-ლი რუსეთი განიცდის დიდ ამბებს მომავლისას და როდესაც მთელს რუსეთში ეხლაც სკოცხობენ სი-ტყვები მისი ერთა უწყინდეს უფ-ლებათა შესახებ, მით უფრო მნიშე-ნელოვანია კავკასიისთვის, რომ მის აქ დახვდება ფართო სარბიელი იმი-სა, თუ რის გაკეთება შეიძლება აქ და რა არ გაკეთებულა.

და კავკასიის ერებიც იმ იმეღით შეხედვებიან მას, რომ თან მშვიდობა და ერთგულ კულტურულ განვი-თარების უწყინდესი პრინციპი მო-აქვს მათთვის.

პირველი საკლავო 4 კლასიანი სასწავლებელი

ქს. ანასტასია ლევაინის ასულის ჩირაქიზიზილისა. (საანბანო, უმცროსი და უფროსი განყოფილება მოსამზა-დებელ კლასისა I, II, III, IV კლ.)

მიხალღები გამოცდა იწყება ყველა კლასებში 1 ენკენისთვის

- 1 ენკენისთვის—რუსულ ენაში ყველა კლასებში
- 2 ენკენისთვის—ანგარიში
- 3 ენკენისთვის—ისტორია და სამღვთო რჯული
- 4 ენკენისთვის—გეოგრაფიისა და ბუნების მეტყველობისა.

მისამართი: ალექსეივის ქუჩა № 17.

სწავლა იწყება 5 ენკენისთვის. (10-3)

პირველხარისხოვანი სასადილო

„კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ქაპა, ყოველგვარი მხელ-მხემლი საჭმელები დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—საათამდე. სადილი 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური სა-ჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, საჭაბური, ნაყინი და სხვა ხილის წყა-ლი, ცხელი „პიროგები“. თვიურად მოხალისეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნი თქვენთვის. სასადილო ღირს დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე. პატივისცემით რაჟდენ იოსელიანი.

ახალი სკოლა პანსიონით

გაიხსნება საანბანო და მოსამზადებელი განყოფილებით. ანბანდებენ ბავშვებს ქართული გინაზიებისა, კერძო სკოლებისა და მთავრობის სასწავლებლებისათვის მეთოთხე კლასამდე. დაწერილებით ცნობების მიღება და გამოწერა ჩაწერა შეი-ძლება ყოველ დღე დღის 9 საათიდან 1 საათამდე. მისამართი: სამადაგიის ქუჩა, № 36, ბინა მარიამ ერისთავისა.

პეტროპოლი, 26 აგვისტო. ოფიცია-ლი. უმაღლესი რესკრიპტით გენერალ-ადიუტანტ გრაფ ვირონკოვ-დასკოვის სახელზე.

გრაფ ილარიონ ივანეს ძევი 1905 წელს, როდესაც ვსცან საჭი-როდ კავკასიის სანამესტრიკოს აღდგე-ნა—კეთილად მივიჩნიე თქვენი დანი-შნა ჩემს მოადგილედ. თქვენი ამ კუ-თხის ცოდნა და მრავალწლოვანი თქვენი სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი მო-ღვაწეობა, მგვირდენ მტკიცე რწმენას, რომ თქვენი დანიშნულების საგანს ქვეყნის დამწვინებას, მშვიდობიანო-ბის დამყარებას და განტოცებას კე-თილდებობისა და წეს-რიგისა—შეას-რულდებით უნაკლოდ. თქვენი დანიშ-ვნის პირველად წლებმდე გამართლეს თქვენზე დაკისრებული იმეღები, რასაც სრულიად ვაწერ თქვენს შესუსტებულ სურვილებს, რისთვისაც თქვენ არ და-გვიოვავთ თქვენი ნიჭი და ძალა იმ მჭიდრო ერთიანობის გასამტკიცებლად, რომელიც საჭირო იყო მრავალწლო-ვან კუთხისა დანარჩენ ჩვენ სამშო-ბლსთან. თქვენი სამხედრო ცოდნა სრულ საშუალებას გაძლევდათ კავკა-სიის სამხედრო ოქტის ჯარის სარდ-ლობის დროს განგეგმვათ სახე-ლოვანი კავკასიის ჯარი, იმ უძველეს დროიდან თანდაყოლილ ტრადიციებში, რომითაც ისინი ძლიერის სულით ეხლაც ურყევად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მძიმე მოვალეობას. შარ-შან, ჩემი კავკასიაში ყოფნის დროს, მე გამოვიტანე საუკეთესო აზრი კავ-კასიის ჯარის სულიერ სიმწვანეზე. მისი გმირული თავდადება, რომელიც მან გამოიჩინა წარსული წლის დეკემ-ბერში და ამა წლის ივლისს—მე ყო-ველივე ეს აღვნიშნე თქვენი დაჯილ-დებით უშიდა ყოველად წამებულის და ძლიერების გიორგის 3 ხარის-ხის ორდენით. მრწამს, რომ გამოცდი-ლი სახელოვანი ჯარი მომავალშიც თავისი გამარჯვებით დაიწერს ბრწყინ-ვალე გვერდს თავის ბრძოლის დღეებში. უთმობ რა თქვენს გა-დაჭირულ სურვილს, რათა თქვენი სა-სარგებლო შრომა და მოღვაწეობა გა-მოყენებულ იქნას თქვენი ჯამთელი-ბის შესაფერისად, იმ ჯამთელიბის, რომელიც შეაღებ დაუდალავი შრო-მით, მე გულის ტკივლით განთავი-სუფლებთ ჩემს კავკასიაში მოადგი-ლეობიდან, კავკასიის ჯარის მთავარ-სარდლობიდან, ჯარის ატმონობიდან, და გულწრფელად ვაფასებ რა თქვენს მოღვაწეობას ტახტისა და სამშობლს

წინაშე—გნიშნავთ თქვენ ჩემთან. მე ღრმად მრწამს, რომ თქვენი დახვეწება მრავალწლოვან მოვალეობიდან აღ-დგენს თქვენს ჯანმთელობას და ჯე-რადვე დიხანს იქნებით სასარგებლო ჩემთვის და სახელმწიფოსთვის თქვენის გამოცდილ და მიუღვამელ რჩევით. საკუთარის ხელით მისი იმპერატო-რობითი უდიდებულებობა აწერს თქვენი ღრმად პატივის მცემელი და გულწრფელად კეთილის მოსურნე ნიკოლოზი.

სტავკა, 23 აგვისტო, 1915 წ.

გადაწერს სწავრა მანათის საზოგადოებით და საფარ განაგანზე მუშაობის წყალობას ხელმისაწვდომ ფაქტებში მკისრულობს

ი. თ. გვათუას პანსტორა ვერის დაღმართი № 1 ტელეფონი 17-05

ლოპტორი მადიციისა მოსე ანთიმოსის ძე კალანდარიშვილი

ემუროსი ექიმი ტუ. კაღებთა კორპუსისა. ზავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნე-ულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე ოლლას ქუჩა, № 3, სახლი მეღვი-პა-რანცისა.

ქილის ექიმი ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9-2 ს. და საღ. 5-7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირონიის შესახვევის 21.

ქ. გ. ბ. რ. შ. ი. ექიმი ნ. მ. კლიმიშვილი იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულე-ბიან ავადმყოფებს. აკაკის ქუჩა, შეფის აუთიქთან

უმაღლესი ბრძანება

პეტროპოლი, 26 აგვისტო. ოფიცია-ლი. უმაღლესი რესკრიპტით, უმაღლეს მთავარსარდალ შის იმპერატორობითი უმაღლესობის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სახელისაზე.

თქვენი იმპერატორობითი უმაღლეს-ობა, დაიწყო თუ არა სამხედრო მო-ქმედება, საერთო სახელმწიფოებრივ მიზნით გამო, ვერ გავეყვ ჩემს გუ-ლითად სურვილს, და მაშინვე ვერ დავეძქე ჯარის სათავეში, რისთვისაც დავაყენე თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობა უმაღლეს მთავარსარდ-ლად სრულიად ხმელეთისა და სახე-ლვო ძალებისა. მთელი რუსეთის თვალ-წინ თქვენმა იმპერატორობითი უმაღ-ლესობამ გამოიჩინა უდრეკელი სიმ-წინევე ჯარში, რამაც გამოიწვია უღრ-მესი ნდობა და ლოცვა-კურთხევა ჩემი და მთელი რუსი ხალხისა. ის უმაღლესი მეფური მოვალეობა, რომელიც და-კისრებული მაქვს სამშობლის წინაშე მიბრძანებს დღეს, როდესაც მტერი იმპერიის შუაგულში შემოიჭრა, თავს ვიღო უმაღლესი მთავარსარდლობა მომქმედ ჯარისა, და იხე დავიცვა მტრის შემოსევისაგან სამშობლო მიწა-წყალი. დვითურ განზრახვად გვები უაღრესებელია, მაგრამ ჩემი მოვალე-

ობა და სურვილი განმამტკიცებენ ამ გადაწყვეტილებაში სახელმწიფოს სა-კუთილდებოდ. გაძლიერებული შემო-ხვევა მტრისა დახვედით ფრონტიდან უპირველეს ყოვლისა საჭიროდ მქმნის მჭიდრო შეჯავრებას სამხედრო და სამოქალაქო ძალებისა და ამასთან ერ-თად შეთანხმებას სამხედრო მოქმედე-ბისა იმპერიის ყველა კუთხის მმართველ მოქმედებასთან, რითაც ყურად-ღებას მივაპყრობთ სამხეთის ფრონტს. დავიარებ რა აუცილებელ საჭიროდ თქვენს დახმარებას და რჩევას ამისთა-ნა პირობებში სამხეთის ფრონტის შესახებ—გნიშნავ თქვენს იმპერატო-რობითი უმაღლესობას ჩემს მოადგი-ლედ კავკასიაში და მთავარსარდლად კავკასიის სახელდგან ჯარისას, თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის სამ-ხედრო მოღვაწეობისთვის ვწირავ უღ-რმეს მადლობას ჩემსა და სამშობ-ლისას. დავრჩები თქვენი მარად კე-თილის მსურველი.

ნამდვილზე საკუთარის ხელით მისი იმპერატორობითი უდიდებულებობა აწერს.

თქვენი გულწრფელი და გულითადი მოყვარული ნიკოლოზი.

სტავკა, 23 აგვისტო, 1915 წ.

პეტროპოლი, 26 აგვისტო. ოფიცია-ლი.

ბრძანება არმიისა და ფლოტს 13 აგვისტოს, 1915 წელს. ამ რიცხვიდან მე მივიღე ჩემს თავზე წინამძღოლობა მთელი შეიარაღებული ძალებისა ხმე-ლეთზე და ზღვაზე, რომელნიც იმყო-ვებიან ბრძოლის ასპარეზზე. დვითის წყალობის მტკიცე რწმენით და შეურ-ყვედელ იმედით საბოლოო გამარჯვება-ში—ვიწყებ ჩემს წმიდა მოვალეობას სამშობლოს საბოლოო გამარჯვებისთვის და არ შევარცხვებთ რუსეთის მიწას. ნამდვილზე საკუთარის ხელით აწერს მისი იმპერატორობითი უდიდებულებობა ნიკოლოზი.

სტავკა.

უმაღლესი მთავარ სარდლის ბრძანება

უმაღლესი მთავარ სარდლის ბრძანება, 23 აგვისტოს 1915 წ. დღეს თქვენს სათავეში ჩაღვა თვით მყრო-ბელი უმაღლესი წინამძღოლი ხელმწი-ფე იმპერატორი. დიდი თავყანის მცე-მელი თქვენი გმირობისა, რომელსაც ერთ წელზე მეტია რაც ეწვეით—გუ-ლითად სულით ჩემს მხურვალე მად-ლობას. ვიცი რა, რომ დღეიდან თქვენს წინამძღვრად იქნება თვით მეფე, რომ-ლის წინაშე ვიცი დადებული გაქვსთ, დარწმუნებული ვარ გამოიჩინთ ახალ სიმწვანეს, რომელიც დღევანდლადე არვის უხილავს და მიანიჭებთ თქვენს მირონცხებულს ყოვლის შემდეგ და გამარჯვების მომგვრელ ძალას. ხელს აწერს გენერალადიუტანტი ნიკოლოზი.

პეტროპოლი, 26 აგვისტო. ოფიცია-ლი. 25 აგვ. საღამოს ექვს საათზე ახალ დანიშნულ ადგილზე, კავკასია-ში გაემგზავრა მათი უმაღლესობა დი-დი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. მათმა უდიდებულებობამ ხელმწი-ფე იმპერატორმა იხნა სადგურზე მო-სულიყო დიდი მთავრის—მოხალისე-ლად და გულითადად გამოეთხოვა მათს იმპერატორობით უმაღლესობას.

გაიმარჯვეს გერმანელებზე. მესამე გვარდიისა და მე-48 სარეზერვო დივიზიები, გაძლიერებული ბრიგადებით და მრავალი მძიმე თუ სუბუქი არტილერიით, როგორც ტყვეები ამბობენ, რამდენიმე დღის წინ დღეს მზადებაში იყვნენ, რომ რუსებზე გარდასწყვეტი იერიშით წამოსულიყვნენ. ეს დღე დანიშნული იყო 26 აგვისტოსთვის. წინასწარის რა გამოქვეყნდა მათი გეგმა, რუსის ჯარებს საშინელი იერიშებით ეგვეთნენ და მდ. დოლოჟკზე საღამოსთვის 25 აგვ. სრულიად დაამარცხეს. ბრძოლის ბოლოს მოწინააღმდეგე მხარემ ზარბაზნების სროლა არა ჩვეულებრივი ძალით გააცხოველა და მხოლოდ იმის მიზეზით, რომ რუსებს არ შეეძლოთ ამ ცეცხლისთვის რაიმე წინააღმდეგობა გაეწიათ, გამარჯვება სავსებით ვერ დაუგვირგვინდათ. გერმანელებმა აუარებელ-დახოცილთა გარდა ბრძოლის ველზე დასტოვეს 8 ათასი ჯარისკაცი ტყვე და 200 აფიცერი. დავლად დარჩათ 30 ზარბაზანი, მათ შორის 14 მძიმეა, მრავალი ტყვიის მფრქვეველი,

დატენილი ყუთები და სხვა სამხედრო სურსათი. მცირე დენის შემდეგ რუსის ჯარებმა ძველი პოზიციები დაიჭირეს მდ. სერეტზე. ხელმწიფე იმპერიტორმა, ამ ამბის გამო, ფრიალ განიხარა და ბრძანა მადლობა გამოეცხადოს ძღვევამოსილ მხედრობას. ტრემბოვლის სამხრეთით, 25 აგვ. რუსებმა რამდენიმე სოფლიდან სდენეს მტერი და ტყვედ წამოიყვანეს 40 აფიცერი, 2,500 ჯარისკაცი, 3 ზარბაზანი და ათეული ტყვიის მფრქვეველი. დნესტრისა და ქვემო სერუტის მარცხენა ნაპირზე რუსები იერიშით ეგვეთნენ სოფ. ბონიატინცოს რაიონში, მოწინააღმდეგის ერთ-ერთ ბათალიონის იერიში რუსთა მიერ შეჩერებულ იქნა. ტყვედ წამოიყვანეს 11 აფიცერი, ათასი ავსტრიელი ჯარისკაცი. ანაირად, რუსის ჯარებმა დაახლოებით მეთექვსმეტე მდგომარეობას, ვინაიდან მოწინააღმდეგის ჯარები სცილობდნენ შემოვლას. კერძო გამარჯვება შესაფერის ნაყოფს იღებენ.

### საქართველო

წლის დამლევამდე ღირს 4 მ.; 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ.; ერთი თვით—90 კ. ფოსტის აღრის: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, 4. ფოსტის ყუთი 76.

## ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

### ქურნალ-გაზეთიანიდან

ათინიდან „რუს. ველ.“ ატყობინებენ, ოსმალები ჩატალჯას ანაგრებენ გერმანეთის ოფიცრების ხელმძღვანელობით, ექაურობა გაუსვლელ ქაობებამ დადაქციეს.

ეიტომირში გაქრულია განცხადებები, სადაც ადგილობრივი გუბერნატორი მიჰპართავს მცხოვრებთ, რომ ყური არ ათხოვონ გავრცელებულ კორუმს. გუბერნატორი აცხადებს, რომ არც ეხლა და არც ახლო მომავალში საშიში უბედურება ეიტომირს არ მოელოს.

ნორვეგიის გენერალური კონსული არხანგელსკში სამინისტროს დებეშით ატყობინებს, რომ გემი „Nelga“ 18 აგვისტოს ნაღმს დედაბა თეთრ ზღვაში. გემი ძლიერ დაზიანდა. ეკიპაჟიდან სამი კაცი დაიღუპა. ორი დაშავდა.

### ისპანიაში.

20 აგვისტოს ჩვეულებრივი სივრცის დროს მსუბუქედ დასტურეს მარცხენა გვერდში და ხელში დიდი ბრიტანიის კონსული და ერთი მისი მხლებელი მოჰკლეს. ბოროტ-მომქმედ ისროდა ქუჩაში განუწყვეტლოვ და შემდეგ სწრაფად მიიშალა.

### სასწავლებლების გადატანა.

კიევის სამოსწავლო ოლქის უმეტროსის განიგულებით, ხოლომის საქალებო გიმნაზია და სამოსწავლო სემინარია გადატანილი იქნება სარაიეში.

### სროლა სასიგნალო ხადგურის გარშემო.

გერმანეთის საზღვაო საგენერალო შტაბის ცნობით 12 (15) აგვისტოს, ღამით, გერმანეთის კრეისერი ესროდა რუსის სასიგნალო ხადგურს, და უმნიშვნელო ზიანი მიყენა, იმავე დროს მეორე მათი კრეისერი ესროდა ადრესატურის ხადგურს. რუსეთის ფლოტი არ შეუნიშნა.

### „შავი არწივი“.

ბერლინიდან ცნობა მოვიდა, გენერალ მაკენზენს ებოძა შავი არწივის ორდენი.

### გერმანიის კანცლერის გარშემო.

პარიზის დიპლომატიურ წრეებში ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ ბეთმან-ჰოლვიცს წინააღმდეგ საგაზეთო კამპანია დაცხრა, მისი დარჩენა კანცლერის თანამდებობაზე შეუძლებელი არისო. ცნობილია, რომ იმპერატორი ვილჰელმი შეეკითხა ბიულოვს, მიიღებდა თუ არა იგი კანცლერის თანამდებობას იმ შემთხვევაში, თუ ბეთმან-ჰოლვიცი თანამდებობიდან გადადგოდა. ბიულოვს იმპერატორისთვის გადაჭრილი პასუხი არ მიუცია.

### იტალიის საექსპედიციო ჯარი.

იტალიური გაზეთი „ნაციონალი“ იუწყება, სამხრეთ იტალიაში 200,000 საექსპედიციო ჯარისკაცია მოგროვილი, დარღვევის ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად.

### პასიფიკების მოქმედობენ.

ამსტერდამის გაზეთი იუწყება, რომ ტერადმიდან ამერიკაში გაემგზავრა განსაკუთრებული დელეგაცია სხვა და სხვა საზოგადოების 43 წარმომადგენელისაგან შემდგარი. დელეგაცია მიმართავს შეერთებულ შტატების პრეზიდენტს ვილსონს. მიიღოს თავის თავზე შუამავის როლი მეზობელ სახელმწიფოთა შორის. ვილსონმა დელეგაციის მიღებაზე თანხმობა განაცხადა.

### გენერალ ეიხვორნის გეგმა.

„Daily Mail“-ი სწერს: კონსო და ვილსონ შორის მიმდინარე ცხარე ბრძოლა ცხად ჰყოფს გენერალ ეიხვორნის განზრახვას, რომ ზურგში მოექცეს რუსეთის ჯარს, რომელიც მდ. ნემანის შუა ნაწილში მოქმედებს. ამავე დროს ავსტრიელებისა და გერმანელების ძალები გენერალ ფონ ვალვიციისა და პრინც ლეოპოლდის ბელადობით გროდნოს სამხრეთით უნდა გამოჰკოლიყვენ და შეერთებულ გენერალ ეიხვორნის ჯარს.

„Berliner Tegeblatt“-ის სამხედრო-საზღვაო მიმომხილველი ფონ-პერსიუსი ენება დარდადელის ოპერაციას და ამბობს: სრუტის გარღვევა აუარებელ მსხვერპლსა და დიდ დროს მოითხოვს მოკავშირეთაგან. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მოკავშირენი გამაგრდნ ნახევარ კუნძულის სამ ადგილას. სამხრეთში, არი-ბურუნის რაიონში, ჩრდილოეთში კაზატეპეს ახლო და ბოლახ სუელის რაიონში.

### ბულგარეთის სამზადისი.

„Tempus“-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა: ბულგარელი ინჟინერები ვაცხარებით აგებენ საფორტოფიკაციო შენობებს, მართავენ მათეულიან ლაბებს ბულგარეთ-სერბიისა და ბულგარეთ-საბერძნეთის საზღვრების გასწვრივ.

### ბულგარეთი

გერმანიის გაზეთები ოპტიმისტურ ცნობებს ათავსებენ ბულგარეთის პოზიციის შესახებ. „Münchische zeitung“-ი იუწყება, ბულგარეთი მოკლე ხანში შეუდგება იმ ვალდებულებათა განხორციელებას, რომელთაც ავალებს ოსმალებს ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულებათა.

### გერმანიის ჯარი ოსმალეთის ფრონტზე

„Daily Mail“-ი სწერს, ომის დაწყების დროს აღმოსავლეთის ფრონტზე იყო გერმანეთის ცხრა კორპუსი. თითოში ირიცხებოდა 42 ათასი კაცი. დღეს 35 კორპუსია. ავსტრიელებისა და უნგრების რიცხვი კოტათი შემცირდა, ერთი მილიონი ქვეითი ჯარი. ამას უნდა მიემართოს 11 დივიზია ავსტრიის კავალერიისა, და ცხრა დივიზია გერმანიის კავალერიისა. ამანაირად დღეს მთელი ავსტრია-გერმანიის ჯარის რიცხვი აღმოსავლეთის ფრონტზე სამ მილიონამდე აღის.

### გამოკვეთა

ამას წინადა „თანამედროვე აზრში“ წერილი იყო გამოქვეყნებულ, რომელიც თვისი პრინციპული აზრებით ძალიან უახლოვდება ჩვენს წერილებს „ქართველ მუშის ბედზე“; სახელდობრ: აღნიშნული იყო, თუ ნებისა და უნებ-ლით აყრილი პოლიონელები, ებრაელები, ლატიშები და სხვანი როგორ აწიოკებას განიცდიან და საშინელ პირობებში უბედვით ცხოვრება ახალ ადგილებზე. იყო ხაზგასმული ისიც, რომ ეს გამოქვეყნებული ტალღა როგორ აწვევა ბინადარ ხალხს და ეცილება სამუშაოს, სცემს სამუშაო ქირას და გაბატონებულ კლასებში აღვიძებს ექსპლუატატურ სულისკვეთებას ახალ გვარ მონაბნისადმი. აუარებელი ღარიბი, ბავშვი, ქალი თუ მოხუცი—საუკეთესო მასალა მონური ფსიხოლოგიის შექმნისათვის.

აი ჩვენც სწორედ ამას აღნიშნავდით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ აღვლოდობრივი მდგომარეობა გაცილებით უფრო გამწვავებულია რამდენიმე კიდევ სხვა მოვლენით. ჯერ ერთი სივრცე თვით რუსეთისა იმდენად დიდია, რომ გამოქვეყნდნ, რაც უნდა ბევრი იყვნენ, სულ ადვილად მოთავსდებიან და საკმაო მიწას, სამუშაოს და საკმელს მოპოვებენ, ჩვენში კი დიდი სიციფროვეა მიწისა და იქ, საცა ბინადარი მცხოვრებნი ვერ ეტყვიან, ძნელია შემოხიზნა კიდევ ზედმეტი ელემენტის, რაიც ეკონომიურ ქიშპობას იწვევს.

ბიუროს წერილი უნდა გამოუგზავნონ შემდეგი მისამართით: თბილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება. ბიუროსათვის გადასაცემად.

გ. გ. მთავარი განსხვავებანი და საკითხები, რომელზედაც პასუხი საჭირო და „თანამედროვე აზრში“, როგორც პატიოსანმა მოაზრებამ უნდა თავისი მსჯავრი გამოიტანოს, თორემ ლაპარაკი რუსეთის გამოქვეყნებულ და ხმის ამოუღებლობა საკუთარ გამოქვეყნებულ რაღაც ორქოფულ მდგომარეობასა ჰქმნის. ჩვენ ამ საკითხს ყოველთვის დაუბრუნდებით გარემოებისა და შეძლების დავარად და სრულებით არა გესურს ამ, უმთავრესად დემოკრატიისთვის საყურადღებო საკითხის გადაჭრაში მხოლოდ ხმაამოუღებლო დასტურით ვიხლმდგანელოთ თვით დემოკრატიისაგან.

### ახალი ამბავი

◆ მისალიცი დეპუტა. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი შინაარსის დეპუტა გაუგზავნა მეფის მთავარს ვრ. ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს: „ესეც არის დაებრუნდი პროვინციიდან, საცა თავად-აზნაურობის საქმეებზე ვიყავ წასული და გავიგე, რომ თქვენი უმალესი ჯილდო მიგოლიათ თქვენდამი რწმუნებულ სახელოვან კავკასიის ჯარების მიერ სამაგალითო სიმამაცის გამოჩენის გამო. ამიტომ თბილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობის სახელით გულწრფელად გილოცავთ, თქვენი ბრწყინვალეობა, და ვისურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას“.

◆ თავ. ჩოლოყაშვილის დაბრუნება. კახეთიდან უკვე დაბრუნდა თბილისში გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

◆ ღონისძიებანი მოუსავლობის წინააღმდეგ. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების და საადლო-მამულეო კომისიის მიერ არჩეულმა ბიურომ საანკეტო ფურცლები შეადგინა და დღევანდელ დაუგზავნა წერილ საკრედიტო და-წესებულებათ და შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოებათ. ბიურო თხოულობს აცნობონ მათ: 1) რამდენი სათესლგ ხორბალი ანუ სიმინდი დასჭირდება ხალხს ამა თუ იმ რაიონში და 2) დაახლოვებით რამდენი ფული პური ანუ სიმინდი არის საჭირო ხალხის გამოსაკვებად და სხ. ეს ცნობები საჭიროა ბიუროსათვის, რათა მოთხოვნილებას საერთო საჭიროება გაიგოს და ამის შესაბამისად შეადგინოს ფასები და სხ. შემოიტანოს შეღავათიან ფასებში ვასასყიდლათ სათესლგ და საკვები მისალს. ბიუროს გარკვევით უნდა აცნობოს თითო რაიონმა, სად უნდა ჩაიბაროს გამოწერილი მისალა.

◆ თბილისი წერილი უნდა გამოუგზავნონ შემდეგი მისამართით: თბილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება. ბიუროსათვის გადასაცემად.

◆ გ. გ. მთავარი განსხვავებანი და საკითხები, რომელზედაც პასუხი საჭირო და „თანამედროვე აზრში“, როგორც პატიოსანმა მოაზრებამ უნდა თავისი მსჯავრი გამოიტანოს, თორემ ლაპარაკი რუსეთის გამოქვეყნებულ და ხმის ამოუღებლობა საკუთარ გამოქვეყნებულ რაღაც ორქოფულ მდგომარეობასა ჰქმნის. ჩვენ ამ საკითხს ყოველთვის დაუბრუნდებით გარემოებისა და შეძლების დავარად და სრულებით არა გესურს ამ, უმთავრესად დემოკრატიისთვის საყურადღებო საკითხის გადაჭრაში მხოლოდ ხმაამოუღებლო დასტურით ვიხლმდგანელოთ თვით დემოკრატიისაგან.

◆ თბილისი წერილი უნდა გამოუგზავნონ შემდეგი მისამართით: თბილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება. ბიუროსათვის გადასაცემად.

◆ გ. გ. მთავარი განსხვავებანი და საკითხები, რომელზედაც პასუხი საჭირო და „თანამედროვე აზრში“, როგორც პატიოსანმა მოაზრებამ უნდა თავისი მსჯავრი გამოიტანოს, თორემ ლაპარაკი რუსეთის გამოქვეყნებულ და ხმის ამოუღებლობა საკუთარ გამოქვეყნებულ რაღაც ორქოფულ მდგომარეობასა ჰქმნის. ჩვენ ამ საკითხს ყოველთვის დაუბრუნდებით გარემოებისა და შეძლების დავარად და სრულებით არა გესურს ამ, უმთავრესად დემოკრატიისთვის საყურადღებო საკითხის გადაჭრაში მხოლოდ ხმაამოუღებლო დასტურით ვიხლმდგანელოთ თვით დემოკრატიისაგან.

◆ გ. გ. მთავარი განსხვავებანი და საკითხები, რომელზედაც პასუხი საჭირო და „თანამედროვე აზრში“, როგორც პატიოსანმა მოაზრებამ უნდა თავისი მსჯავრი გამოიტანოს, თორემ ლაპარაკი რუსეთის გამოქვეყნებულ და ხმის ამოუღებლობა საკუთარ გამოქვეყნებულ რაღაც ორქოფულ მდგომარეობასა ჰქმნის. ჩვენ ამ საკითხს ყოველთვის დაუბრუნდებით გარემოებისა და შეძლების დავარად და სრულებით არა გესურს ამ, უმთავრესად დემოკრატიისთვის საყურადღებო საკითხის გადაჭრაში მხოლოდ ხმაამოუღებლო დასტურით ვიხლმდგანელოთ თვით დემოკრატიისაგან.

ეს ამბავი სიმართლის მოკლებული ყოფილა. **ქართველი** **ცნობები** **ქართველი** **ილიკო** **აბშიძე** რომელსაც ამ ერთი თვის წინად უხედურება შეემთკვა საქართველოს სამხედრო გზაზე, როგორც შევეტყვეთ თავს უკედ გრძობას და ახლო მომავალში საავადმყოფოდან გამოეწერება.

◆ **ტავრის წყლის გამოკვლევა.** საბურთალოზე მტკვრის წყალი ამოიღეს და ბაქტერიოლოგიურად გასინჯეს, მაგრამ ხოლერის ვიბრიონება არ აღმოჩენილა შიგ.

◆ ქალაქის გამგეობამ განიხილა მეეტლების თხოვნა ნიხრის მომატების შესახებ და დაადგინა, რომ ათი შუური გახადოს ერთი გზის ქირა.

◆ **საავადმყოფო გადმოხვეწილთათვის.** ვინაიდან შემოიხნულ სომხებში მრავალგვარმა სენმა იჩინა თავი და საზოგადოდ ბევრი შემოიხნული ხდება ავად, ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა დროებით ცალკე საავადმყოფო მოაწყოს მათთვის.

◆ **ხოლერა.** 26 აგვისტოს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერაიანი 3 და ხოლერის ნიშნებით 2 კაცი; გარდაიცვალა ხოლერაიანი 3 და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი. გუშინ ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერაიანი 102, ხოლო ხოლერის ნიშნებით 8 კაცი, ხოლერაიანთა შორის 31 კაცი სამხედრო წოდებისაა.

◆ **გადმოხვეწილ სომხთა ობლები.** როგორც ემიციონიდან ატყობინებენ ა. ი. ხატისოვს 26 აგვ. ემიციონიდან მატარებლით გაუგზავნიათ გამოქვეყნულ სომხთა 527 ბავშვი, რომელთაგან 127 დასტოვებენ კარაჯისში. 300-ს ვაგზავნიან ბაქოში, ხოლო 100 ბავშვს თბილისში დასტოვებენ.

◆ **ქალაქის წყალხადენის გადიდება.** ომის დაწყების წინ ქალაქის გამგეობას გერმანიამ უყიდნია საჭირო მანქანები წყალხადენის გასადიდებლად და გასაუმჯობესებლად. მაგრამ ამ მანქანებისათვის ომს გზაში მიუსწრია და ისინი ამჟამად შეგეთის ერთ-ერთ ქალაქშია დაწყობილი. ამ დროებით იმ მანქანების გადმოტანაზე ლაპარაკი უნდმეტია, ხოლო წყალხადენის გადიდება მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაავალა ინჟინრებს—გ. ზ. ქურდიანს და ბ. ნ. ვაწაქის, როგორც ძველი მანქანები შეაკეთონ იმდენად, რომ დროებით წყალხადენის საქმეში გამოდგნენ, ხოლო ომის გათავების შემდეგ ახალი მანქანები მოვა. მაგრამ მომავლისთვისაც ერთი დიდი დაბრკოლება აღმოჩენილა. საქმე ის არის, რომ ქალაქს წყალხადენის გასადიდებლად მთავრობისაგან ნება ჰქონდა დართული 350 ათასი მანეთი აქლო სესხად. ეხლა როგორც ირკვევა, მანქანების ფასს მოუმატებია 50—150%/-დე. ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაუვალდებუა ინჟინერ ქურდიანისათვის, ეხლანდელ ფასების კვლობაზე შეადგინოს ანგარიში და გამოარკვიოს, თუ რამდენი ფული იქნება კიდევ საჭირო ყველა უსაჭიროეს მანქანების შესაძენად.

◆ **ცხენების ავადმყოფობა.** თბილისში ქითათი გასწვნია ცხენებს და ეს გადამდები სენი ძლიერ იკიდებს ფეხს. ამის გამო ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია, ითხოვს საქანლისთვის ბაზარი გამართოს სასალოის მახლობლად.

◆ **ახალი აუზი.** ქალაქის გამგეობამ საჭიროდ სენი, ნაძალადევი ახალი სათადარგო აუზი ააშენოს. **საქართველო** **350 ათასი ვედრა წყალი მოითავსებს.**

◆ **უმაღლესად დაჯილდოვებულ იქმნენ:** მეოთხე ხარისხის წმ. ვლადიმირით პოლკოვნიკი ზაქარია ყაფშიძე. მესამე ხარისხის წმ. ანთი ზედწარწერით „სიმამაცისთვის“ კაპიტანი გიორგი თავაძე და ნიკოლოზ ჯავარიძე.

### იკულაგიითი სიხუჰა

რაკი ბ. ფ. გოგოიანიშვილმა პროფესორ ჯავახიშვილისგან მოწმობა მიიღო თავის უმწიკლოობისა; ამ სანეტარო საბუთს აღარ შორდება და ითხოვს, რომ სასამართლომ მისხა და მ. აღმაშვილს შორის, მართონ საკითხი განიხილოს, რომელიც მხოლოდ ამ ერთ ეპიზოდს შეეხება მთელის ისტორიისას. ჩვენ ვთხოვლობთ, რომ სასამართლო შეეხოს მთელ საარჩევნო ის-

ტორის და იმ როლს, რომელსაც თამაშობდა ბ. გოგინაშვილი. სახელდობრ, სასამართლო უნდა შეეხოს იმასაც, რომ საარჩევნო ბიუროს ხელმძღვანელი თვით ბ. გოგინაშვილი იყო. რომ საარჩევნო მოწოდება თვით ბ. გოგინაშვილმა შეადგინა და თავის საფასურით დაბეჭდა, და რომ იმ ხარჯებში, რომელიც დასჭირდა ქალაქისა, მარკეტისა და შტეტმელების ყიდვას, ბიუროს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, რადგანაც არავითარი ბიურო არ არსებობდა და იგი ფიქტურა გოგინაშვილისაგან შექმნილი.

როდესაც ყველაფერი ეს გამოირკვევა და ნათელი გახდება, საზოგადოებაც მიხვდება, რა ხაფანგში იყო გაბმული ბ. გოგინაშვილი ჩვენი პირველი შენიშვნით და რამ აძულოა, რომ საზოგადოებას და უმცირესობას ცილისწამებას მიჰყო ხელი.

„საქართველოს“ რედაქცია.

**ბ-ნს ვ. გოგინაშვილს**

მეთანხმებით სამედიცინო სამართალში გამოყოფას, მაგრამ გამოვლენა შედეგებით და ასე ვიწროდ ზღუდავთ გასარჩევ საგანს: „სამედიცინო სამართალს გადაეცეთ განსახილველად ის, რასაც თქვენ მხარობთ, სახელდობრ: ამ სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, დამახინჯებულად და ყაბად არის თუ არა ჩემი წერილში გადმოცემული თქვენი 18 ამ თვეს „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში ნალაპარაკები“ ვინაიდან ჩემმა მონაწილეობამ საარჩევნო ბიუროში ორ ცეცხლ-შუა ჩამაყენა და ჩემი სახელი და პატრონისა მხოლოდ თქვენი მეხიებით გადაიქცა სათელავად და სათრევედ, ამიტომ სამართალში უნდა დაიწყოს თავიდან და გაარჩიოს მთელი ისტორია თქვენი კანდიდატურისა. ეს უკიდურესად დასაჯირობა იმისთვის, რომ ჩემს მეგობრებსა და „საქართველოს“ რედაქციის წინაშეც საბოლოოდ გამოაშვარავლენ ჩემი პირნათლობა ან პირშავობა. გასარჩევ კითხვები თვითონ სამართალს წყვედენ.

ეს არის ჩემი უკანასკნელი და კატეგორიული სიტყვა.

ველი თქვენგან მოკლე პასუხს: ან პოს, ან ან არას.

ბ. აღმაშვილი.

**კვლევი საპრობლემა**

ზაფხულის წვიმებმა და ნიაღვრებმა, ქართველ ხალხს წინაშე აღმართეს საკითხი არამც თუ დროებით გაჭირვებაზე—შემშლზე, არამედ მთლად ეროვნულ არსებობაზე. შიმშილი არა ერთხელ დასტყდომია თავს საქართველოს, მაგრამ ის, რაც დღეს გამოაშვარავდა სულ სხვა ხილი არის და სულ სხვა გუწებზე და ფეჭებზე აყენებს ყველას, ვისაც ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი საკუთარ ჯივრად გარდუქცივია. საკმარისი იყო ბუნებას აყენა, რამდენიმე დღე განუწყვეტელი ეჭვიმანა, რომ მოხაროკებულ-მთავარი მთლად ძირს ჩამოსულიყო, ადგილი სრულიად შეეცვალა დედა-მამის ზედაპირს. აღმოჩნდა, რომ ბუნების ასეთ ჭინის წინააღმდეგ ჩვენ სრულიად უმწეო ვართ. არასდროს ხანგრძლივ ცხოვრებაში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება, მთლად დანიავებულა ზრუნვა საკუთარ სიმდიდრის მოვლა-შენახვისა.

ესლა საკამათის არვისთვის არ შეადგენს ის გარემოება, რომ უმთავრესი ხაზი კაცობრიობის განვითარებისა არის შრომის გაუმჯობესობა, ინტენსიურად და მუშავება ეროვნული ავლა-დიდებისა და ამავე დროს დაცვა და ზრუნვით ხარჯვა ამ ეროვნული სიმდიდრისა. განსაკუთრებით მეტყველებს „საუკუნოზე ითქმის ეს. საწარმოვო იარაღებმა, გაუმჯობესებულმა მისვლა მოსვლამ, მსოფლიო ბაზარზე ერთი ასათ ამუშავა კაცი ხელი ბუნებრივ სიმდიდრეზე და ამავე დროს კაცის აზრმა შექმნა ათასი ზომები ამ სიმდიდრის დაცვისა, ზრუნვით და გონივრულად დახარჯვისათვის. ჩვენში კი სწორედ ამ მეტყველებს საუკუნოზე უტრიალია ჩარხი. ამ ხნის განმავლობაში დარღვეულია და დანიავებულია ის, რაც ინახავდა

ეროვნულ სიმდიდრეს, სამაგიეროდ ახალი მისი შემნახველი, მასზედ მზრუნველი არაფერი შექმნილა. ტყეების ჩეხვა, რამაც უმთავრესად გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ტოპოგრაფიული სახის შეცვლა უმთავრესი მიზეზია დღევანდელ უბედურობისა—პარალელურ-

არც მთებიდამ შემიხინჯული ხიზნობა ექცეოდა „პატრიის ცემით“ ჩვენს ნაამაგარს, ვერც მოექცეოდა, რადგან ისეთ გამოურკვეველ ურთიულ-სოციალურს პირობებში გამოაცხადა მთავრობამ, რომ მალე პატრონს ვერ იცნობდა და არავითარი აზრი ზრუნვაზე და შენახვაზე არ ესაბამებოდა მეურნეობის ასეთ სახეს.

დრო გადიოდა ძველი ინსტიტუტი და წესი ტყის პატრონობა-შენახვისა ისპობოდა. მთავრობა პატრონობდა მხოლოდ იმ ტყეს, რომელიც სახელმწიფო ანუ საუფლისწულო მფლობელობაში გადადიოდა. პატრონობდა და მხოლოდ ჩაფარ „ობიექტივის“ შიშის წყალობით ინახავდა თავის საკუთრებათ აღიარებულს. არავითარ საერთო დებულებას, ცხოვრებაში განმტკიცებულს, ადგილი არა ჰქონია.

ყველაფერი აირია. კუროზად ერთი მაგალითი: სოფ. ბაღეში ხიზანმა ისებმა გასჩეხეს ორმოცი წლის დაზოგილი ტყე, მემამულეთა საკუთრება. დაიწყო გამოძიება. ორი წელიწადი იარა სამართალში, დიდი ხარჯი, დიდი ორბიტრიალი გამოიწვია. დამნაშავენიც და დაზარალებულიც აქვე იყვნენ. „სუდმა“ ბოლოს „сѣхшаишии искъ“ დაარქვა და საქმე მოსპო, რადგანაც ხიზანთა მდგომარეობაში ამისათვის შეუერთებული დებულება რამ „სეოდებში“ ვერ იპოვა. ასე მიდიოდა დრო, ცხოვრება თავისას არ იშლიდა. ჩვენ ტყესაც ვაჭუნდა ბაზარი და მალე საერთო კანონიერ საქმედების ფარგლს მოკლებული, მოქმედებდა ისე, როგორც საკუთარი ძალა და გონება უჭრიდა.

რა უნდა ჩვენ ხალხს, ყოველივე თვითმოქმედებას მოკლებულს?

ჯერ სანამ ძველი რწმენა, შეხედულება და ათადი ტყის სარგებლობის ცოცხალი იყო—პასიურად შეკუთრება და იქნებ ვერც გრძნობდა ამ განადგურებას, ამ განსაცდელს. შემდეგ კი, როცა ყველაფერი ეს გაქარწყლდა—თვითონაც ჩაერთო საერთო ფერხულში. თუ ერთ დროს თქმულბა: ვინ ხე მოსჭრას უდროით, შეილი მოუკდეს უდღეოთი. ან—ვინც ხე მოსჭრას სულიერი, ამოუწყდეს ოჯახობა, აღარ დარჩეს სულიერი—კანონი იყო ჩვენი ხალხისათვის—დღეს ფეხვებსაც კარგა ხობრის და ქალაქს ჩამოაქვს გასაყიდათ. თუ კიდევ ვკარგობა რამეს მოწიწებით და ჯერ ხელი ვერ შეუხვია, ეს ის ტყე და ქალა, რომელიც ხალხის რწმენასთან რელიგიოზური კავშირით არის შეზოპული და საიდანაც გამოტანილი წყირი, მათის ღრმა აზრით, სენს მოუტანს, რადგან ტყეს ხატი ჰყავს დაპატრონებულნი. თუ სადმე არის გაუჩეხავი ტყე დღეს—სწორედ ამ რწმენის წყალობით.

მაგრამ დღევანდელ ცხოვრებაში ამ რწმენასაც დიდი დღე აღარ აქვს, როგორც ბევრს სხვა რწმენა შეხედულებას. ასეთი რთული და საბედნიეროა პროცესი ჩვენი მიწა-წყლის სახის შეცვლისა, კერძოდ ტყეების გაჩეხვისა, პროცესი იმ მოვლენისა, რომელიც მეტად მწარე ხედვრს უმზადებს მშრომელ საქართველოს. რითი მოვლდება ამ მოვლენას? ერთათ ერთი იგივე ხალხის შეგნება. მისი შეგნებული თვით მოქმედება. საბედნიეროდ. სიმპტომები ასეთი თვითმოქმედებისა უკვე სჩანს. თუ რაღაცა ორმოც კომლიანმა თორტიზმა გარეჯვარმა შეგინო და მეჯულის ხეობაზე ტყის გაჩეხვით გამოწვეული უწყალობა სხვაფერად, დიდი არხის გაყვანით, აინაზღაურეს, ეს და მრავალი ამგვარი მაგალითი, იმის მომასწავებელია, რომ ხალხმა კვლავ ზრუნვა დაიწყო ეროვნულ ავლადიდებაზე და ეს ზრუნვა მეტად მტკიცე პრინციპზე—თვითმოქმედებაზე დაამყარა.

ეს საუკეთესო საბუთია და ერთადერთი გზა უკვენი მომავლისა. ჩვენი მოვალეობა ამ პრინციპისა და ხალხის

**ისტორიკოსი კლავდი იოსელიანი.**

პლატონ ვენატეს ძე იოსელიანი დაიბადა 1809 წ. ქ. თბილისში, მაშინ იოსელიანი გვარი განთქმული იყო. ვინაიდან მათი წინაპარნი სახელოვანი იყვნენ თვით ქართველთა მეფეთა წინაშე და მამა პლატონისა ვენატე ვახლდით მოძღვარი გიორგი მეფისა. პლატონი აიზარდა ისეთი ოჯახში, სადაც თავის დროის შეგნებული ქართველი ხშირად იყრიდნ თავს და საუბარი ჰქონდათ საქართველოზე, ქართველ ერზე და იმ გარემოებაზედაც, თუ საქართველო როგორ და რა პირობით დაუკავშირდა რუსეთის იმპერიას. ამასვე საუბრის გამოთვა მიტოვო უფრო ხდებოდა, რომ იოსელიანის სახლში ხშირად დადიოდნენ თვით მეფეების ახლო ნათესავნი და მახლობელნიც, რომელთაც კარგად იცოდნენ ომის ამბები და ზოგი მათში გულდაწყვეტილიც იყო დროთა ცვლილებაზედ.

პ. იოსელიანმა პირველ დაწყებით სწავლა შინ მიიღო სხვათა შორის მის მასწავლებლად დავითი ყოფილა, ფელა-ლიძემლის მონასტერში სწავლობდა; შემდეგ ამისა, რაკი 1817 წ. თბილისში ქართველების სასულიერო სემინარია გაიხსნა, პ. იოსელიანი აქ გადმოვიდა.

სემინარიის სწავლა გაათავა პ. იოსელიანმა და მის მერე იგი რუსეთში წავიდა სასულიერო აკადემიაში უმაღლეს სწავლა-განათლების დასასრულებლად. ეს დრო უწყეს 1840 წ. აკადემიური სწავლა 1834 წ. დაამთავრა; ამის შემდეგ, ანუ 1835 წ. მას საქართველოში ვახლდა და 1837 წ. იგი თბილისში, არზომანოვის სტამბაში ორს ქართულ ძველს წიგნსაც ბეჭდავს. პ. იოსელიანი ვახლდათ პირველ ქართველი, რომელიც მეცხრამეტე საუკ. საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების შემდეგ პირველად წავიდა აკადემიაში, ხოლო პეტროგრადის უნივერსიტეტში—სალომონ დოდაშვილი. (ისიც 1824 წ. წავიდა რუსეთში). მოგახსენებთ იმასაც, რომ აკადემიური სწავლის მიღება ქართველებმა მეტყველებს საუკ. იწყეს, მაგალითად, გაიბო ნაცელიშვილმა მოსკოვის აკადემია 1775 წ. დაამთავრა, მოზღოვებმა ქართველმა ბახალაძემ მღვდელად 1778 წ. და ივანე ხელაშვილმა „კალმასობის“ ავტორმა 1816.

პ. იოსელიანის პეტროგრადში სწავლის დროს, მთელს რუსეთში და ნამეტყველად პეტროგრადში მრავლად ცხოვრობდნენ კიდევ ქართველ ბატონიშვილები, რომელიც საქართველოდამ 1801 წ. შემდეგ იქმნენ გადასახლებულნი. ისეთ ბატონიშვილებს ახალგაზდა პ. იოსელიანი 1825 წ. გაეცნო და დაიწყო მათთან სიარული, მეგობრობა. ამათში ზოგი მწიგნობარი პირი იყო. მათ უყვარდათ საქართველოს ისტორიაზედ ლაპარაკი, ნამეტყველ შეხებაზე. იოსელიანი სწავლის დროს, დიდს შროსა და ენერჯიას იჩენდა, იგი ცოცხალი მოსწავლე იყო და ნამეტყველ უყვარდა საქართველოს წარსული, ქართული ისტორია და იმ გარემოებათა პირობები, თუ მეტყველებს საუკ. დამდეგს, საქართველოს მეფობას როგორ მიიღო ბოლო, ამის მიზეზები რა ვახლდათ, ან საქართველო როგორ ჩაბარდა რუსეთს. ასეთს ისტორიულ ამბებს პ. იოსელიანი დიდათ ედავებოდა, იგი ამას გარეშე, საქართველოს ყოველნაირის მხრით ეცნობოდა და მასთან იმისთვისაც ჰქონდა

სამზადისი, რომ აკადემიის სწავლის დამთავრების შემდეგ, ამ ერის შესახებ წერას და ბეჭდვასაც დაიწყებდა. ამიტომაც მისთვის ქართველი ბატონიშვილების საჭირო იყო ცოცხალი მასალები, ცოცხალი ცნობები და უფრო უკეთესად მომთხრობნი ძველის ამბების, ვიდრე სხვა და სხვა ძველი წიგნები და ბარათებიც.

პ. იოსელიანის ერთადერთი ქართული შრომა, სახელდობრ: „მეფე გიორგის ცხოვრება“ სულ ასეთის ამბებისაგან არის მოკოწიწებული და შედგენილი, რაც მართლაც და საყურადღებო წიგნიც ვახლავთ. თავის დროის კვლად, პ. იოსელიანმა შეაგროვა დიდალი ქართული ისტორიული მასალები და მასთან საქართველოს ისტორიაშიც სამაგალითოდ მოეშადა.

თავის დროის კვლად პ. იოსელიანი საქართველოში ვახდა სახელოვანი კაცი, პირველი მეისტორიე და მასთან სხვა დღისეპითაც სრული, ყოველივე ასეთ სახელოვნებასთან იგი იყო მახვილგონიერი, მეკრ-მეტყველი, დიდი მოსარჩლე ქართველის ერის, ქართულის ისტორიის და კულტურის, ნამეტყველ ქართული ენის და მწიგნობრობისა.

მისმა მეკრ-მეტყველურმა სიტყვამ გააკვირვა იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე, როცა იგი საქართველოში ვახლდათ 1837 და დღემდე უფრო მიგებების დროს დარბაზში. იქ დამსწრენი და მსმენენი ვაკვირებულნი იყვნენ პ. იოსელიანის სიტყვის და იმ ქება დიდების, რაც-კი პ. იოსელიანმა იმპერატორს თავის სიტყვით აუწყა საქართველოს შესახებ. სიტყვანი თურმე დიდათ შეაქო ქალღმერთი და მასთან მიუღო არავის და დარიალის ხეობანი ქართველის ერის წარსულის კულტურით. საქართველოს პირველის ღირსების სიტყვას და გაცნობას. იმპერატორი თურმე სამოვინებით უსმენდა. ეს მეკრ-მეტყველური სიტყვა დაბეჭდილია პ. იოსელიანისავე დაწერილს რუსულს წიგნს „დღემთის აღწერაში“.

პ. იოსელიანი გარდა იმისა, რომ ნამდვილი მამულშვილი იყო, მეტის-მეტი ოხუნჯი და სიტყვა-პასუხიანი ვახლდათ. საქართველოს შესახებ იგი გულ-გატეხილი ვახლდათ. დიდათ სწყინდა მას ქართველი ერის დაქვეითება და დაავადება, ხოლო მის იმედოვ ავქნდა, რომ ეს დრო გაივლის, წავა და ქართველებიც გაახელენ თვალებს და გამოვლენ მოქალაქეობის და განათლების ვახლდათ. ამის გარდა იგი იმედოვნებდა, რომ რუსეთის იმპერიის მფარველობა ჩვენ დაგვაკავშირებს კვლად დღემდე თურქთაგან პურობოდ ქართველთ, ანუ გამაჰმადიანებულ ქართველებსაო.

მას რამდენადაც საქართველოს მდგომარეობა გულს უსლავდა, იმდენად და უფრო მეტადაც მას დიდათ უყვარდა თავის სამშობლო და საქართველოს ძველი და ახალი ისტორია, ეს მან დასაბუთა თავის დაუცხრომელის შრომით და აუტარებლის ისტორიულის მასალებით და წიგნებით. მერე ისიც ისეთ დროს, როცა ქართულსა და რუსულზე ჯერედ არაფერი ისტორიული წიგნები იყო დაბეჭდილი, არაფერი მასალები ვახლდათ შეკრებილი, ნამეტყველ სიტყვა-გუჯრებიც.

პ. იოსელიანმა რუსულს ენაზე საქართველოს ისტორიული წერილების წერა დაიწყო 1830 წლებში, ქართულს ენაზე წიგნების ბეჭდვა კი 1837 წ. ამის შემდეგ, ამავედ სცადა და 1841 წ. პირველად დაბეჭდა ქართულს ენაზე თბილისში „ქართული კალენდარი“. როგორც სჩანს კალენდარს ვასავალი არ მიეცა, ამიტომ მერე წელს (1843) აღარ გამოცხა. ამავედ დროს მან დაბეჭდა პატარა ქართული ანბანი და ქართული გრამატიკა. შემდეგ წლებს ეს წიგნები მან აღარ დასტამბა.

ყველა წიგნებში პ. იოსელიანს ძველი ქართული ენის კილო აქნდა და ამიტომ მის წიგნებსაც ვასავალი არ ეძლეოდათ. 1850 წლებიდან მან გამოსცა რამდენიმე ძველი ქართული წიგნი, სახელდობრ „წყობილი სიტყვაობა“ ანტონ კოთალიკოზის, პოემა „დიდ მოულოვანი“ იოსებ თბილელის, ტიმოთე მთავარ ეპისკოპოსის მოგზაურობა, იონა რუსის მტროპოლიტის მოგზაურობა და „არჩილიანი“ ლექსად. ეს იყო, ეს ხუთი წიგნი დასტამბა მან, რომელთა გამოცხა მას იმ დროს მთავარმართებელი გორონცოვიც ნივთიერად ეხმარებოდა. სულ ეს არის ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის მერე ქართულ ენაზე ნაბეჭდი წიგნები. ამის მეტი მას სხვა არაფერი აქვს ნა-

ბეჭდი, რაც შეეხება ქართულს ენაზედ ამის ნაწილებს „ქართული კალენდარი“ არის, ანუ „ქართული კალენდარი“ საჩინო შრომას შეადგენს „მეფე გიორგის ცხოვრება“, ოიშვილიც პირველად დაიბეჭდა 1879 წ. ჟურ. „ივერია“-ში. მერე ეს აღწერა 1891 წ. ცალკე წიგნითაც გამოვეცი. ამას გარდა 1865 წ. ერთი ისტორიული წერილი დასტამბა ჟურ. „საქართველოს სასულიერო მხარობელში“. ვახ. „დროებას“ შორიდამ უმწერდა, როგორც პოეტს გრიგოლ ორბელიანს, ისევე ამას არ მოსწონდა დროების ენა. მიუხედავად ამის, ამ ვახეთში მაინც 1969 წ. დასტამბა ორი წერილი ძველი ქართული წიგნების გამოცემის სასარგებლოდ. ამ წერილებმა პოლემიკა გამოიწვია „დროება“-ში.

დანარჩენი დრო, განსვენებულმა სულ რუსულ ენაზედ წერილების წერას და წიგნების ბეჭდვას მოანდომა. წიგნებიც, რასაკვირველია, მთლად საქართველოს შესახებაა დაბეჭდილი. რიცხვი დიდი და პატარა 50 ზედ მეტი არის, ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით, ბევრი მათში დიდათ საინტერესო შინაარსის ვახლდათ და მასთან დღეს ერთობ იშვიათად საწოველიც. მაინც დღეს პ. იოსელიანის ნაწერების შოვნა ერთობ ძნელია და იშვიათი. მასთან ითქმის ისიც, რომ ყველა ამ რუსულ წიგნებში გაფანტულია დიდი ძალი მასალები საქართველოს ისტორიის შესახებ, მასთან ზოგი მასალა დიდათაც ძვირფასია ჩვენის ერის და ისტორიისათვის.

საქართველოს ვერც ერთი მისტორიე ვერ დასწერს რამე ისტორიულს წიგნს, რომ მას პ. იოსელიანი ნაწერების შოვნა და ვაცნობა არ მოუხდენ. უამისობა ყოველდღე შეუძლებელია, რადგანაც არ მოიძებნება არც ერთი მხარე ქართველი ერის ცხოვრების, რომ იმას პ. იოსელიანი თავისებურის კილოთი არ შეხებოდეს. ასეთ რუსულ ისტორიულ წიგნების წერისა და ბეჭდვის გარეშე, პ. იოსელიანი იმდენად გონიერი და მომზადებული მეისტორიე ვახლდათ, რომ იგი არც რუსულ დრო გამოშვებით გამოცემათა საქმეებს ერიდებოდა და ხშირად რუსულ ვახუთების რედაქტორიც ვახლდათ, რომელიც თავის ვახუთებს ყოველთვის ისტორიულის წერილებით ავსებდა, ასეთი იყო, მაგალითად, მისი ვახუთი „ზაკავაკიანი კრია“ რომის გამოცემა 1846 წ. დაიწყო, და შემდეგ ვახ. „კავაკიანი“ და ხან სხვა და სხვა რუსული გამოცემანიც.

რასაც კი ამ ვახუთებში ისტორიულ წერილებს ბეჭდვად, იგი ძრიელ ხშირად, ამ ვახუთებში ამავე წერილებს ცალკე წიგნებათაც უშვებდა. რუსულს ენაზედ მან დარსა მთელი კოლექცია, ისტორიულის წიგნების. ეს ისეთი დიდი საქმე იყო მაშინ, რომელსაც ფასი ერთობ დიდი მქონს. მერე ისიც უნდა ვახსენებოთ, რომ ეს დრო ისეთი დრო ვახლდათ, როცა ქართული ისტორიის ასპარეზზედ, ერთი ისტორიული წიგნიც არ არსებობდა, ერთი ისტორიული არ იყო ამ დროს, თითქმის ყოველივე ახლად ფუძნდებოდა და შენდებოდა ისტორიის სასარგებლოდ. რუსულს ენაზე კი არა თვით ქართულს ენაზეც არაფერი მასალები არსებობდა ამ დროს.

წ. ქ. (შემდეგი იქნება)

**ქართული ეროვნული სახელაგი**

(დემ. კეკელიძის წერილისა გამო).

„წმიდა (?) მეციერულმა თვალსაზრისმა“, რომლითაც პატივემუღმა დეკანოზმა კეკელიძემ „განხილვა“ ჩემი სია ქართული სახელებისა, სამწუხაროდ, ვერ გაამართლა ჩემი გულბურჯილი იმედი, რომელიც ოდესმე „ხმა კახეთისში“ გამოვსთქვი“ და ესლახან „საქართველოში“ განვიმეორე“: „ნასწავლი ნაწილი ჩვენის სამღვდლოეობისა, აკადემიელი მამანი თავს იღებენ ამ წმინდა და ეროვნულ მოვალეობას და ამით სამსახურს გაუწყვენ სამწყსოს“.

ბ. კეკელიძის ვრცელი წერილი მშვენიერად დასაბუთებული კრიტიკაა ჩემი მკირე წერილისა, მაგრამ მხოლოდ კრიტიკა და დღეებით არის გვაწვდის. ჩვენ კი პრაქტიკულ მხარეზე ვეჭონდა ლაპარაკი და სწორედ ეს მხარეა დღეს საუბლისაში სამღვდლოეობის და სამწყსოსათვის. როდის იდღეცასწავლებს ვახ-

1) 1913 წ. № 48.  
2) 1915 წ. № 67.  
3) „საქართველო“ № 71 და 72.

